№ 136

სამშაბათი, 28 ივნისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 136

სამშაბათი, 28 ივნისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**დარია მოსეს ასული, კონსტანტინე და ნიკოლოოზ გვარამაძენი და მარიამ ოტიას ასული და ალექსანდრე ფარსადანის ძე ხაინდრავანი**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ამით გარდაცვალებასა პირველი ქმრისა, მეორე და მესამე მამისას, ხოლო მეოთხე და მეხუთე სიძისა თვისისას, **მიხეილ ანდრიას ძის გვარამაძისას**, უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა, ნაცნობთა და გარდაცვალებულის თანამოსამსახურეთ სცენ პატივი და დაესწრნენ 28 ივნისს, განსვენებულის დასაფლავებას გორში. (1—1)

## ლექსები

თავ. ვახტანგ ორბელიანისა

სრული გამოცემა მის ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, სასარგებლოდ ქართველი ქალების მომავალის სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა. ფასი სქელ ქაღალდზედ მანეთი, ვინც ათობით იყიდის—ოთხი აბაზი, მოთხელო ქაღალდზედ ფასი სამი აბაზი, ათობით მყიდველი მიიღებს ათ შაურად წიგნსა. ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. (10—1420—1)

**„ივერიის" რედაქციისაგან:**

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ამასთან ვაცნობებთ ხელის-მომწერლებს, რომ თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა, უნდა წარმოადგინოს ერთი მანეთი, ხოლო სხვა ყოველის ადრესის შეცვლისათვის-კი — ორი აბაზი.

სამუსიკო კრუჟოკი
(საზაფხულო სადგომი ბაღით)
ხუთშაბათს, 30 ივნისს
ქართულის თეატრის არტისტი-ქალი
**ვ. ს. ნებიერიძისა**
გაჰმართავს წარმოდგენას ქნ ავალიშვილის და ბ.ბ. აბაშიძის და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
I
ვაის გაჭეჭარე ჭ ვუის შეჭეჭარე
კომ. 3 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიასი
II
მეხუთე მოქმედება დრამიდამ
**სამშობლო**
მოთამაშენი: ქ.ქ. ავალიშვილისა, ნებიერიძისა, ტარიელოვისა; ბ.ბ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, ცაგარელი, გუნია, ადამიძე და სხ.
ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა
ადგილების ფასი 60 კაპეიკიდგან 2 მანეთამდე
დასაწყისი 9 საათზედ

ტფილისი, 28 ივნისს

—

შავის ზღვის პირის დასახლება კარგი ხანია სალაპარაკოდ გამხდარა, როგორც კავკასიისა, ისე რუსეთის მწერლობისათვის. აქაც ისე, როგორც რუსეთში, ორ გვარი აზრი გამოითქვა ამ საგნის შესახებ, მაგრამ გამორკვეული ჯერაც არა არის-რა. უეჭველია, რომ ის ადგილები, სადაც ამ 30 წლის წინად სიცოცხლე სდუღდა, სადაც მილლიონამდე ჩერქეზი, აბხაზი და მაჭმადიანი ქართველი ბინადრობდა, საჭიროა რომ ხელახლავ დასახლებულ იქნას და დღეს გაველანებული, ოდესმე-კი მშვენივრად დამუშავებული და გაშენებული ადგილები ისევ ადამიანის საცხოვრებ-ად გადაიქცეს.

ამ აზრის თანხმაა ორივე დასი, მაგრამ ვინ უნდა დაასახლონ ამ გარდახვეწილ ხალხთა სამაგიეროდაო?—აი ამის შესახებ ჰლაპარაკობენ ამ ჟამად მწერალნი.

ყოველს საგანს მხოლოდ ერთი უსწორ სი და უმართლესი მხარე აქვს, მაგრამ ამას დანახვა და მიგნება უნდა. ჩვენ არ გვჯერა, რომ იმათს მსჯავრს, რომელნიც საქმეში საკუთარს მადას, გულის ვნებას, სიძულვილსა თუ სიყვარულს ჩაურთვენ ხოლმე, რომ-ლთაც არ შეუძლიათ საგანი დამოუკიდებლად და თავისუფლად გაარჩიონ, სამართლიანობის და ჭეშმარიტების ხასიათი ექნეს.

ამიტომ ისეთის გაზეთის აზრი, როგორიც არის „Новое Время", რომელიც ყველგან და ყველაფერში ღალატს ეძებს და თუ არა რუსისა, სხვა ტომისა არა სწამს-რა — არც მეგობრობა, არც მოვალეობის აღსრულება, და არც რომელიმე ღირსება— ამისთანა გაზეთის აზრი, რასაკვირველია, არავისთვის არ არის დასაფასებელი და საყურადღებო.

მაგრამ როდესაც გაზეთს ეტყობა, რომ იგი მხოლოდ საზოგადო სარგებლობის სურვილით არის გამსჭვალული და სამართალს ყველას თანასწორად უწერის—სულ ერთია, რა ტომისაც უნდა იყოს სამართლის მთხოვნელი—ასეთს დასტამბულს სიტყვას, ქვეყანამ ანგარიში უნდა გაუწიოს და საფუძვლიანად უნდა შეუდგეს თითოეულის იმის აზრის გარჩევას.

სწორედ ამ გვარ გაზეთად უნდა ჩაითვალოს პეტერბურგის გაზეთი: „Русская Жизнь"-ი. 19 ივნისის მე-162 №-ში იგი ამბობს: „ახირებული იქნება ვინმემ დაგვწამოს, რომ ჩვენ არ გვიამებოდა, თუკი კავკასიაში დიდძალი თავისუფალი ადგილები აღმოჩნდებოდა. მაგრამ კიდევ უფრო ახირებული იქნება, რომ ადგილობრივ გაზეთების მოწმობას, რომელნიც ამტკიცებენ, რომ იქ თავისუფალი ადგილები სულ არ მოიპოვებაო, ამ მოწმობას არა-

## ფელეტონი

—

**არა-მკითხე რევიზორის შენიშვნები.**

მე კიდევ საკრეჭიაში ვარ. დალაქთა წახალისებულმა მუდამ მეც ლონე გამომელია, მკვიდრთა უმრავლესობასთან ერთად მეც გავიკრიჭე და ძალიანაც რომ ვეშურებოდე ამ უბადრუკის კუთხიდგან გასვლას, წასასვლელ ღონეზედაც სუსტად გახლავარ, თითონაც არ ვიცი, რამდენს ხანს მოვუნდები ამის საზღვრების გადალახვას. ჩემს აქ ყოფნაში სხვაც ბევრი ეწვაა საკრეჭიას. მე, როგორც არა-მკითხე რევიზორმა, ამათაც გავუსინჯე კბილები. ზოგს (თუმცა-კი იშვიათად) მოჰყვა განწმენდილი გონება და სოფლის სიყვარულით აღსავსე გული, ზოგს-კი სავამცემლო გეგმანი და ბასრი კბილები. ორსავე ჯგუფს სოფლის დანახვაზედ ძალზე უცემდათ გული, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზით-კი. პირველებს წაქცეული მოძმის ფეხზედ წამოყენება განეზრახათ და სად იშოვნიდნენ იმდენს საქმეს, რამდენიც მოელოდათ საკრეჭიაში, სადაც «სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი ყოვლად არა». სხვებს ხვრა-ძოვნა განეზრახათ და ადვილად დასაბრიყვებელი მოძმეც ბლომად ეგულებოდათ. მე, საკრეჭიის ყოფის მცოდნემ, კარგად ვიცი თუ რა მოელის თითოეულს მათგანს და ეხლავე შემიძლიან დავსახო მათი მომავალი.

ხვრა-ძოვნას მოწადინებული ვაჟბატონი, რა თქმა უნდა, მალე მოიკიდებს ქონს, გაღონიერდება და მერე რაღა ეშმაკი მოაშორებს საკრეჭიას? ისიც, იმედია, დაეწაფება ცხოვრებას. შევიწროებულ მოძმეთა მოსარჩლეს-კი გამოიდნობს საკრეჭიის ცხოვრება, ტყავი გასძვრება, ფრთები მოეკვეცება, გული მოუკვდება უჯერო ცხოვრების ცქერით და ძალიანაც რომ მოინდომოს სხვა მხარეს გადაჰკჯვა, წასასვლელი ღონეც აღარ შერჩება. ისიც დაუწყებს ცხოვრებას ჯაჯგურს, ამაოდ მოინდომებს ცოტაოდნად გზის გაშუქებას და საქმე იმით გათავდება, რომ ღონე მიხდილი, მოტეხილი, იმედ გაცრუებული უდროოდ დაუკრავს თავს წუთი-სოფელს და შავს მიწას ამოეფარება; თუ არა და ისიც შეიძლება ამის ყოფა-ქცევა ვისმეს არ მოეწონოს, მყუდროების დარღვევა დასწამდეს და ცოცხალი მოაშორონ საკრეჭიას „этапнымъ порядкомъ". თუ ამ გვარს გამგზავრებას გადარჩა და სიკვდილმაც შეიწყნარა, მაშინ იმასთან შედარებით მაზედ უბედური კაცი აღარ იქნება ქვეყანაზედ, ყველა ზურგს შეაქცევს, თავისიანებიც-კი გაუორგულდებიან. „ის არამზადა სიმშილით კვდება და კიდევ მშვრებისთვის ჰფიქრობს" იტყვის ნიშნის მოგებით ერთი. „მეხი-კი დავაყარე თავზედ, ყველას იმას ეჩიჩინება: სწავლა, ცოდნა შევიძინოთ, ეს არის ახალის დროის საუნჯეო, და თითონ კი სწორედ ამ სწავლამ დაღუპა", ამბობს მეორე. „ჯერ თითონ მოიკარი ქონი, გაღონიერდი და მერე სხვებისთვის იფიქრეო", დაარიგებს რომელიმე ჩვენი ინტელიგენტი. დარიგებას კიდევ გაუძლებს, მაგრამ რა ცილს არ დასწამებენ, რას არ მოუგონებენ საწყალს! იმანაც უნდა იაროს ამ ქვეყნად სულით ობოლმა, უტოლომ და, ჩვენის პოეტისა არ იყოს, ოხვრაში-ღა ეძებოს შვება.

ნუ თუ ასე ძნელია საკრეჭიელების გულის მოგება? იკითხავს გაოცებული მკითხველი. სულაც არა. ამისათვის ბევრი საშუალება არის და, თუ გნებავთ, მეც სამიოდეს დავასახელებ. თუ გინდა აქ პატივი და დიდება მოიპოვო, დადექი ვისმესთან რამდენისამე წლით დახლიდრად, „ხაზეინს" და მუშტრებს რამდენიმე თუმანი მოჰპარე, ეს ნაპარევი შენს ჯამაგირს მიაკეცე, აიღე საჭირო მოწმობა და გაჰმართე სოფლის გზა-ჯვარედინზედ დუქანი. იმას გარდა, რომ დამპალ-დუმპალს საქონელს მამასისხლად მიანაღდებ, მთელის სოფლის ნაწარმოებიც შენს ხელში გაივლის ჩალის ფასად, ორის მხრით ორკეცს ტყავს შეაძრობ სოფელს და სოფელიც მადლიერი გეყოლება. ყველა ამასთან თუ თამასუქ პირობას მარჯვედ მოატრიალებ, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ფულის თვისება ის არის, რომ უეჭველად უნდა იბარტყოს და შენს ხელში რა ღმერთი გაუწყრება, რომ ეს თვისება დაჰკარგოს. საცოდავი გოგიას ეზო შენს ეზოს მოედება, პეტრიას სახნავ-სათესი შენს სახნავ-სათესს გააფართოვებს, რომელისამე ნუნუას მოტრფიალე აზნაურის პარტახი შენ დაგრჩება და მერე შეგიძლიან წამოჰიმო ციხე-დარბაზი, სადაც წინედ რომელისამე მებატონის სასახლე ჰბრწყინავდა. მაშინ რაღა გიჭირს? გახდები საკრეჭიის თვალი და ჩინი. სიკვდილისაგან განადგურებული მეოჯახე თვეში თუმანს ათ შაურად შენგან ისესხებს და დიდს მადლობასაც გეტყვის, გარდასახადით შევიწროებული საკრეჭიელი თავისის ზურგით მოგიტანს თავისს ნაოფლარს, ჩალის ფასად ჩაგიგდებს ხელში და მხსნელად და მაცხოვრად აღგიარებს, შენს ლოცვა-კურთხევაში დაალამებს ცოლ-შვილიანად თავისს სიცოცხლეს. ყველა შენს წინ მუხლს მოიყრის, ყველა ია და ვარდით მოგიფენს გზას, ყველა ამას იტყვის, როცა-კი მოაგონდები: „ღმერთმა უშველოს, იგია ერთად-ერთი ჩემი გაჭირვებიდგან დამხსნელიო".

მეორე საშუალება: ისწავლე საყველ-პურო რუსული, შეიძინე რამდენიმე არზის შავი, დაჰყარე ერთგულის კაცების პირით ხმა, რომ შენი დაწერილი არზა, ქვასაც-კი ჰხეთქავს, აწრიპინე კალამი და იარე სასამართლოში. გოგია პეტრიას მიუსიე, ივანე გოჯასპირს წაჰკიდე და ყველას ერთად საჩივრები უწერე. რაც უფრო მეტი უნარი გექნება წვრილის საჩივრების გაბერისა, მით უფრო მეტი სახელი დაგივარდება. მოვა ბეჩავი საკრეჭიელი, გროშის საქმეში თუმნიანებს ჩაგიჩხრიალიბს, მადლობას გეტყვის და მეტად გახარებული, რომ შენისთანა დიაკვთან დაიჭირა საქმე და მეზობელს დღეს დაუბნელებს, გამობრუნდება შინ, მთელს ქვეყანას მოჰფენს შენს ქებას და ეს კი ევ მეტი ხეირი იქნება შენთვის, უფრო ბლომად მოაწყდება „მუშტარი და ფული შენს სახლს. შვილი გამოვზარდეო, იმის დედმამამ სთქვას, თორემ ეს ჩვენი სიო რომ არის, გასამათრახებელია, კაცი რომ ჰყავდეს! არზის დაწერაში ფულს არ იღებს. ამას წინად წაეკიდა ხრიკაძეს და სულ მატყუარა, მცარცველი უძახა. არა, ის უეჭველად სიმშილით მოკვდება და ახიც იქნება", იტყვის შენგან გაბრიყვებული საკრეჭიელი. შენ ქებას შეგასხმენ და იმას-კი, ვინც კრიჭაში უდგას შენებრ მართლა-და მცარცველებს, ვისაც წაქცეულის ფეხზედ წამოყენება უნდა ქოქოლას დააყრიან, ისეც გამწარებულს კიდევ უფრო ჩაუშხამებენ ყოფას.

მესამე საშუალება: აღიჭურვე მათრახით და ცუდ-მეტყველებით, აბრიალე თვალი და აბაკუნე ფეხები. დაფეთებულს წვრილფეხობას შიში და ძრწოლა აიტანს და თუმცა ასეთი შიში „სიყვარულს ვერ შეიქმს", მაგრამ პატივისცემას ხომ მოგიპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარი ყურადღება არ მივაქციოთ და ვურჩიოთ რუსის ხალხს აყრა და გადასახლება იმ ქვეყანაში, სადაც შესაძლოა თავისუფალი ადგილები მართლა არ იყოს. ეს ხომ გადასახლებულის ხალხის შველა და დახმარება-კი არ იქნება, არამედ დაღუპვა! ამიტომაო, განაგრძობს გაზეთი, ჯერ შევიტყოთ არის თუ არა იქ თავისუფალი ადგილი, და თუ აღმოჩნდა, რომ ადგილი ყოფილა, მაშინ ეს თავისუფალი ადგილები პირველად დაურიგდეს იმ ადგილობრივ მკვიდრთა, რომელნიც ვიწროდ არიან და საჭიროებენ, მერე-კი შეგვიძლია გადარჩენილ ადგილების დასახლების შესახებ ვიქონიოთ მსჯელობაო*.

ჩვენის მხრივ ამ ჭეშმარიტს აზრს პეტერბურგის გაზეთისას არას დავუმატებთ, რადგანაც იგი სავსებით განმარტავს ამ საგანს.

ჩვენ გვგონია, რომ ამ გვარი სამართლიანი აზრი გარეშე ტომის შესახებ გაზეთის მიერ უფრო დიდი ღვაწლია რუსეთის ერის წინაშე, უფრო კარგი სამსახური და ერთგულებაა თითონ ხელმწიფისა, ვიდრე სიძულილით სავსე წერილები სხვა და-სხვა რუსეთის ქვეშევრდომ ტომთა მიმართ, რომელთაც აქამდის მხოლოდ ერთგულება და პატივისცემა მიუძღვით რუსეთის სახელმწიფოს წინაშე.

მაგრამ ამას გაგება უნდა და წრფელი გული, რაიცა ზოგიერთ ლიტერატორს, სამწუხაროდ, ხშირად აკლია.

მეველე

# დეპეშა

25 ივნისს

**პეტერბურგი.** უკვე გამოცხადებულია ახალი საპასპორტო წესდება.

**მარსელი.** აქ ორმოც ანარხისტს სადგომები გაუჩხრიკეს; თერთმეტი მათგანი დააპატიმრეს; ამ რიცხვში — ცხრა იტალიელია და ორი ფრანგი. იმათ ხელში ნაპოვნი ქაღალდები ამტკიცებს, რომ ფრანგთა ანარხისტებს კავშირი ჰქონიათ სხვა სახელმწიფოების ანარხისტებთან.

**ლონდონი.** ლორდთა პარლამენტმა პირველ წაკითხვისათანავე მიიღო ბილლი სალისბიურისა, რომლითაც აღიკრძალებათ ინგლისში მისვლა სხვა ქვეყნებიდგან ღარიბ-ღატაკთ, სულითა და გადამდებ სენით ავადმყოფებს; ამას გარდა, მთავრობას ნება ეძლევა განაძევოს ინგლისიდგან ის უცხო ქვეყნელნი, რომელნიც სახელმწიფოს მშვიდობიანობის დარღვევას ჰლამობენ და რომელთაც შეუძლიანთ ხელი შეუწყონ დანაშაულის ჩადენას როგორც ინგლისში, ისე სამზღვარ-გარეთაც.

26 ივნისს

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს მიეცა უფლება, რომ შთამომავლობით თავად-აზნაურთა მიეცეს სესხი, რათა მათ შეეძლოთ შესყიდვა არა რუსეთის ტომის ადგილ-მამულისა, შემდეგს გუბერნიებში: ვილნის, კოვნისა, გროდნენის, მინსკისა, ვიტებსკისა, მოგილევისა, კიევისა და პოდოლისა. თხოვნა სესხისა უნდა მიეცეს ადგილობრივ ბანკის განყოფილებაში. ბანკს შეუძლია სესხად მისცეს 15% მამულის ღირებულის ფასისა.

**პარიზი** კიდევ სამი ანარხისტი დაატუსაღეს სენ-დოს. ორი იტალიელი და ერთი ფრანგი დაჭერილია მარსელში.

**მადრიდი** სენატმა მიიღო ღონისძიება ანარხიზმის აღმოსაფხვრელად და ამ ღონისძიებათა შემოღება პარლამენტმაც სცნო საჭიროდ.

# ახალი ამბავი

*** წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ წიგნთსაცავისათვის შეიძინა სყიდვით ამ მოკლე ხანში საკმაოდ ძვირფასი წიგნები: 1) ლაზარაშვილისაგან ერთი პაწია ნახატებიანი სახარება და ერთიც დავით წინასწარმეტყველის ცხოვრება, ოც-და თვრამეტ მანეთად; 2) ბ-ნ ენფიანჯისაგან ორმოც-და-შვიდი სხვა-და-სხვა ძველი ხელ-ნაწერი წიგნაკი სამას მანეთად.

*** ეხლა-ხან გამოვიდა ახალი წიგნი, შედგენილი მ. მ. კალისტრატეს მიერ. ეს წიგნაკია „ხოპის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო“. წიგნაკი შეიცავს 56 კაბადონს და ღირს ერთი უზალთუნი. სათაურზე შემდეგი წარწერაა:

ხოპსა მაღალსა გალავან რებული,
ტაძარი მშვენიერად გებული,
შიგ სუფევენ ძვირფასნი ხატნი,
ყოვლის ტომისგან ქებულნი.

ავტორს დაუბეჭდია სხვა-და-სხვა წარწერები ეკკლესიისა და იქ მყოფ საუნჯეთა. ზოგიერთი წარწერა ფრიად საყურადღებოა. გვაუწყებს ცნობებს უძველეს დროის ისტორიულ კაცთა შესახებ როგორნიც არიან, მაგალითებრ: კახაბერისძე, თეონედა ზვიადის დედა, ნათედა და ძე მისი ვარდან დადიანი, მანდატურთ უხუცესი ბედანი (?) და ცოლი მისი ქართლის ერისთავის ბეგაის ასული ხვაშაქი, და ძენი მათნი ერშაღრე, გიორგი და ივანე და სხ. ეს პირნი თამარის დროის მოღვაწენი არიან, როგორც შენიშნავს ავტორი.

სამწუხაროდ, წიგნი მოკლებულია წმინდა ქართულს ენას და თვით წარწერებიც აქა-იქ შეცდომებით გადმოღებულია, შინაარსიც წიგნისა მოთხრობილია უსისტემოდ, მეტნაკლებად. კარგი იქნებოდა, რომ ვიდრე მამა კალისტრატე დაჰბეჭდავდეს ამ გვარს შრომას, იგი ეჩვენებინა ჩვენ არქეოლოგ-ისტორიკოსთათვის.

*** მივაქცევთ ტფილისის პოლიცმეისტერის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ჩუღურეთის ქუჩები დიდად ვავგოახს მდგომარეობაშია. პანსევიჩის ქუჩა, მაგალითებრ, ისეთი სამწუხარო სანახავია, რომ გვგონია აქამდისაც საჭირო იყო, ეზრუნათ მისთვის. ამ ქუჩის ცალკე მხარე ქვით არის დაგებული, ცალი არა, ასე რომ სწორედ ცალ-ულვაშ მოპარსულს ადამიანსა ჰგავს. ამას გარდა, ტროტუარი ალაგ-ალაგ გაკეთებულია, შიგა და შიგ-კი დატოვებულია.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: ლექსები ვახტანგ ორბელიანისა. სწორედ სასიამოვნოა შეძენაა ჩვენის ლიტერატურისათვის. იგი იპყრობს ყველა ლექსებს ჩვენის სახელოვანის ლირიკოსისას, ქრონოლოგიურად დაწყობილსა, და შეადგენს სრულს გამოცემას, რომელიც დაუბეჭდია თავისი ხარჯით განსვენებულის პოეტის ასულს მარიამ ორბელიანისას. გამოცემა შემკულია პოეტის სურათით ფაქსიმილეთურთ ძ მშვენიერია. წინ უძღვის პატარა წანასიტყვაობა პეტრე უმიკაშვილისა, რომელსაც დიდი მონაწილეობა მიუღია გამოცემაში, წინასიტყვაობას მისდევს მოკლე ბიოგრაფია პოეტისა, დაწერილი ილია ჭავჭავაძესაგან და ბოლოს ჩართული აქვს ქრონოლოგიური მაჩვენებელი. მშვენიერს გამოცემას მშვენიერი მიზანიც აქვს: მთელი შემოსავალი, რომელიც უნდა ოთხმოც თუმნამდის ავიდეს, შეწირულია „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და «ქართველ ქალის მომავალ სკოლის» სასარგებლოდ, ასე რომ თითო დაწესებულებას ერგება ორმოცი თუმანი. სწორედ დიდის მადლობის ღირსია დიდად-პატივცემული მარიამ ვახტანგის ასული. იმედი უნდა გვქონდეს, რომ მოკლე ხნის განმავლობაში ქართველი საზოგადოება მთელს გამოცემას იყიდის. სქელ ქაღალდზედ წიგნი ჰღირს მანეთი, უბრალოზედ— სამი აბაზი.

*** კვირას, 26 ამ ივანობისთვეს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნული იყო საგანგებო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, მაგრამ არ შესდგა, რადგანაც კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა.

*** „Нов. Обоз.“ ამბობს, რომ შემდეგი კრება უთუოდ სექტემბრისათვის იქმნება დანიშნულიო. თუ ეს მართალია, არაფრად სასიამოვნოა, რადგან სასურველია, რომ კრება ეხლავე დაინიშნოს და გადასწყდეს, ვინა კისრულობს ქართულ დასის პატრონობას მომავალს სეზონში და ეკუთვნება თუ არა დრამატიულ საზოგადოებას დასი. ეს საგანი ეხლავე უნდა დაბოლოვდეს, რადგან სექტემბერში გვიანღაა, მაშინ უკვე იწყება ზამთრის სეზონი და არტისტების მოწვევის საქმეს-კი ეხლავე უნდა ზრუნვა. ამას გარდა, კომიტეტს ორი წევრი აკლია და, საკვირველია, სექტემბრამდე როგორ უნდა გაუძლვეს იგი დრამატიულ საზოგადოების საქმეებს!?.

*** გორი. 24 ივნისს, საღამოს 10-ს საათზედ, დიდი საცოდაობა მოხდა: გორში პოლიციის ბოქაულს მიხეილ ანდრიას ძეს გვარამაძეს და მისს ნათესავს გვარამაძეს მამულის თაობაზედ ჩხუბი მოუვიდათ, პოლიციის სადგომის ახლოს; ბოქაული გვარამაძე მძიმედ არის დაჭრილი მუცელში, ექიმმა მაშინვე ყოველი ღონისძიება მიიღო, მაგრამ საცოდავმა მეორე დღეს საშინელის წამებით დალია სული. მეორე გვარამაძეც

ვებს.

თვალწინ მიდგას უშვერი ენის პატრონი ეჩოძე, რომელიც წელში ცხრად მოკეცილის, ხელ-ფეხ გაკრულის მოძმის დანახვით აღტაცებაში მოდის, თვალწინ მიდგას ხრიკაძე თავის „პროშენიებითა“ და დავიდარაბით, თვალწინ მიდგას ღიპიანი მადიანიძე თავის ჩოთქით, არშინით, თამასუქ პირობით, ერთის სიტყვით მთელის თავის ონავარის სანახაობით: ჩემს გონებას არ შორდება ეს სოფლის ერთგული, მაგრამ სოფლის მიერ აბუჩად აგდებული სიო, ფერმიხდილი, ღონე გამოლეული, რომელსაც სახე ზრუნვითა და დარდით ალუბექდია, რომლის გონიერს თვალებში ყოველთვის ამას ამოიკითხავ:

„ დღე დამიბნელდეს შავადა,
სხივი ვერ ვნახო მზისა მე,
მაღალი ღმერთიც გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისა მე.“

მესმის სიოს გულის ტკივილი, სულის კვეთება, ვიცი, რომ სიოსებურის კაცების პირით ჰღაღადებს ჭეშმარიტება, ესენი არიან შეძმებულთა მოსამძიმრენი, მხოლოდ აჲათს ყურებს ესმის ბეჩავთა გოდება ისე ძლიერად და მოკლედ გამოხატული ნეკრასოვის მიერ:

„Голодно, странничекъ, голодно,
Голодно, родименькій, голодно.
Холодно, странничекъ, холодно
Холодно родименькій, холодно.“

სიომ ისიც იცის, თუ საიდგან ჰბერავს ეს სიცივე და სიმშილი, ზოგი აქედგან თავის დასაღწევი საშუალებაც გამოკვლეულ გამოანგარიშებული აქვს თუ ყურს ვათხოვებთ. დიახ, ვიცი ეს ყველაფერი და ძალზე ვღონდები, როცა მოვიგონებ, რომ ამგვარს კაცებს ზურგს აქცევს საკრებია. როდემდის იქნება სოფელი ასე თვალ-ახვეული? როდის იცნობს მტერსა და მოყვარეს? ვეკითხები ჩემს თავს. ნუ თუ განუწყვეტელი ტანჯვაა ხვედრი ქვეყნის წარმატების მსურველთა? ნუ თუ ყოველთვის ქვეყნის ერთგულთა სისხლით უნდა რწყავს განათლებამ, წარმატებამ თავისი გზა?

სწორედ ამგვარს საკითხავებში ვიყავი გართული, როცა თავს წამომადგა ჩემი მეგობარი კეთილაძე. დიდის ხნის უნახავის მეგობრის მოსვლა ძლიერ მიამა. უნდა გითხრა ყოჩაღი კაცია. თუმცა დარდსა და ზრუნვას ისიც საკმაოდ ჩამოუდნია, მაგრამ სული და გული ადრინდებულად საღი აქვს.

— კაცო რამდენი ხანია გვპირდები აქაური ინტელლიგენტების შესახებ შენიშვნებს და არა გეშველა რა. მაგრამ არა უშავს-რა: ალბად ჯერ კარგად გინდა გაიცნო. აი წავიდეთ! მე დღეს ერთს ოჯახში ვარ მიწვეული და იმ ვაჟპატონებსაც იქ გაჩვენებ თავიანთ როლში. შენ, როგორც არა მკითხე რევიზორს, გეპატიება დაუპატიჟებლად მისვლა და მარჯვე დროც ეხლა გაქვსო, მითხრა.

მეც გავყევი. ჩემდა საბედნიეროდ, პურადს მასპინძელს არც ჩემი მისვლა სწყენია. „დამები“ და „კავალრები“ ბლომად იყო. კავალრებში ჩვენი ნაცნობი ინტელლიგენტებიც ერივნენ: ვანო სარეკელაძე, კოტე უქმაძე და სხვანი. იმათი მორთულობა, მიხვრა მოხვრა, პირველშივე დაგარწმუნებდათ, რომ ახალგზდა ქალები და ვაჟები მარტო ჩაცმა-დახურვას მოუნდებიან და შემდეგ-კი იმისთვის უნდა ილეხონ თავი, რა გვარი მიხვრა-მოხვრა უფრო მოსახდენია საზოგადოებაშიო. ახლა სახელებს არ იკითხავთ? მგონი არც ერთი მნათობი, არც ერთი ყვავილი დაუსახელებელი არ დამრჩებოდა, ეს სახელები რომ დამხსომებოდა. ერთს ერქვა ვენერა, მეორეს—ასპირონ, მესამეს—გულივარდისა, მეოთხეს— ლოლია თუ „Лилія“, კარგად არ მახსოვს, და სხვა-და-სხვა. სადილობამდის ყველანი მოწყენილნი ვიყავით, ცოტას ვლაპარაკობდით და ხშირად ვამთქნარებდით, მაგრამ სადილის დროს სიცოცხლე დაგვეტყო. მოჰყვა სადღეგრძელო სადღეგრძელოს, ჰიქა ჰიქას, მოსკდა სიტყვების და ღვინის ნიაღვარი. უცხო კაცი რომ დასწრებოდა, ამას იფიქრებდა: სრულიად საქართველოს თვალსა და ჩინს, ქვეყნის ჯავარს აქ მოუყრია თავი, ამდენი ქება დიდება რომ იხარჯებაო. ასე გასინჯეთ, ათიოდ „რეჩი“ ძალზე გაბერილს სოფლის მეკიტანსაც-კი ერგო და ხუთიოდ პოლიციის იმ მოხელეს, რომელზედ დაბლა არც ერთი მოხელე აღარა სდგას და მგონი არც ერთი კაცი ამ ტიალს ქვეყანაზედ. ბევრი გრძელი და პრტყელი სიტყვა ითქვა, ბევრი ორატორი დაიღალა, მაგრამ ყველაზედ ძლიერი სიტყვები ვენერას სადღეგრძელოს მოჰყვა. ამ სიტყვებში ჩემი ყურადღება უფრო უქმაძისა და სარეკელაძის სიტყვებმა მიიქციეს და მეც ვეცდები მოკლედ გიდმოგცეთ იმის შინაარსი:

„დიდად მშვენიერო ვენერავ №-ნა! ბევრი სულიერად მახინჯი მინახავს წუთი-სოფელში, სთქვა სარეკელაძემ, ბევრი ფიზიკურად მახინჯი. შევზარებულვარ მათის ნახვით და გამკვირვებია, დალოცვილი ღმერთი რად აძლევს ადგილს ამდენს სიმახინჯეს ამ ტურფა ქვეყანაში-მეთქი. მიზეზი დღეს გავიგე. თურმე განგებას რაც იმ საწყლებისათვის დაუკლია, ის ყველა შენთვის მოუმადლებია. საღი სული და საღი სხეული, ასე ჰარმონიულად შეზავებული, იშვიათი ჯილდოა და ეს ჯილდო, ეს მადლი ასე უხვად გაუმეტებია შენთვის განგებას. შორს მყოფსაც ბევრი გამიგონია თქვენ შესახებ კარგი, უქმაძის წყალობით, რომელსაც ძლიერ ვენდობი, მაგრამ რაც გამეგონა, ასი იმდენი დღესა ვნახე ჩემის საკუთარის თვალებით. წინად იტყოდნენ: ვისაც რომი არ უნახავს, იმას არა უნახავს-რა ქვეყანაზედაო; მე-კი ამის შემდეგ ამას ვიტყვი: ვისაც ვენერა არ უნახავს, იმას ქალი არ უნახავს, იმან არ იცის სადამდის მივა გარეგანი სიტურფე და სულიერი სისადე, ერთს ადამიანში ჰარმონიულად მოთავსებული. ჩემთვის რომ ვისმეს ეკითხა, მე თქვენ, ვენერას კი არა, მარსს დავარქმევდით. დასასრულ ვისურვებ, რომ ეს საღი სული და საღი სხეული კუბოს კარამდე შეგრჩენოდეთ, აგაცილოთ ღმერთმა ყოველგვარი უსიამოვნება, სევდის ღრუბელი, რომელიც სიტურფის შეუბრალებელი მტერია, უდროოდ დამაჭკნობელია. დღეგრძელ იყავ შენდა საბედნიეროდ და შენის ნაცნობების სა'იქადულოდ“ დააბოლოვა სარეკელაძემ და ალავერდი უქმაძესთან მივიდა.

სანამ ჩვენ ტაშის კვრას და „ვაშა“ „ვაშას“ ძახილს მოვრჩებოდით, უქმაძე ფეხზე იდგა, აბრეშუმის ცხვირსახოცში ნაზად ახველებდა და ხმას ისწორებდა. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, იმანაც დაიწყო: „მოწყალენო ხელმწიფენო! ბ-ნ სარეკელაძის მშვენიერი სიტყვის შემდეგ თითქმის არაფერი დამრჩენია სათქმელი, მაგრამ ისეთი ძვირფასი სადღეგრძელოა, რომ ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა, არ შემიძლიან. ეხლა რომ ძველებური სახელები ხმარებაში იყოს, ვენერას ქალა-მზეს დავარქმევდი. მზეც ხომ სინათლეს და სითბოს იძლევა. ჯერ ღრუბლიანი დღე რა არის და მერე უმზეობა რა იქნებოდა? წამში მთელი დედა-მიწა ცივ საფლავად გადიქცეოდა. წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებას ჰგრძნობს

თავშია დაჭრილი, ჭრილობა სასიკვდილე არ არის.

⁂ 26 ივნისს პოლიციის მესამე ნაწილის მოხელემ ლიმარევმა შეიპყრო ქერბილაი-ჰასანოღლი, რომელსაც პეტრე დათიაშვილისაგან რევოლვერი და ხანჯალი მოეპარა და მიჰქონდა. დათიაშვილმა გამოაცხადა, რომ ხანჯალსა და რევოლვერთან ერთად 70 მან. დამეკარგაო. დამნაშავეს ფული არ აღმოაჩნდა.

⁂ ამავე დღეს მერვე ნაწილის პოლიციელმავე ვასილი ლაპეშკინმა შეიპყრო ჯარისკაცად ნამყოფი ხესიან ბელგაკოვი, რომელსაც 12 მან. ღირებული ცხენის აღვირი მოეპარა ტყაბლაძისაგან და მიჰქონდა.

⁂ 23 ივნისს ახალ-მალაკნების ქუჩაზე მიხეილ ლუნევსკის სახლის ღია ფანჯრიდგან ძილის დროს 144 მან. და 20 კ. ნივთეული მოჰპარეს.

⁂ 24 ივნისს მიხეილ გიგაურსა და კონსტანტინე ტრაფიმოვს ავჭალის ქუჩაზედ სახლი გაუტეხეს და 51 მან. 10 კაპ. ნივთეული მოჰპარეს.

—

**შეცდომის გასწორება.** შაბათს მეთაურის წერილში კარექტურული შეცდომით არის დაბეჭდილი თესალონიკა, უნდა იყოს თესალია.

## დამაკვირდი

იშვიათად მიერგება ხოლმე ადამიანს ის, რის ღირსიც არის, და ასევე იშვიათად არის ღირსი იმისი, რაც ბოძებული აქვს.

ვუნგი

**

ცოტა არ დადის ქვეყნად აქლემი, რომელსაც ტვირთად კოშაკთა ტყავები ჰკიდია.

თალმუდი

**

მოიქეცი დღე ისე, რომ ღამე მშვიდობიანი ძილი გქონდეს, ხოლო სიჭაბუკეში ისე, რომ მხიარულს მოხუცებას ეღირსო.

ინდოთა თქმულება

⁂

რა დავუშავე სულ-მდაბალს,
რას მემართლება ნეტავი?
რად ჰლამობს ჩემსა წამებას
იმისი შური, საკლავი?

—

გამანაპირა გულ-ბნელმა,
აღარ მიწამა, მიჯერა,
დასწყევლა ჩემი ცრემლები
და შემიჩვენა სიმღერა!..

—

რასაც სხვას უთვლის წმინდა მლვნად,
მე მას — მიბღალავს, მიგინებს,
სხვას რომ წყალობას ჰპირდება,
მე წყევა-კრულვას მაკლიებს.

—

მე რომ შევსწირე, ვუმსხვერპლე
გრძნობა და გული მას მძური,
მან გასაკიცხად მოჰმართა
ბოროტი თვისი ჩონგური.

—

და მერე როგორ დაუკრა?
რა ორ-ლესულად, რა გვარად?
პირში მადიდა, ზურგს უკან
გამიჭრა ორმო სამ-გვარად!..

—

მაბეზღებს, მკიცხავს, ცილს მწამებს,
მითიც ვერ მღებს წყეული,
ქვეყნად მოსული მოშურნედ
და მზაკვრად გამოწვეული!..

—

მაგრამ გაუგაუდი, კლდედ ვიქეც
და გაუმლიერდი სულითა,
იერიშს მისას ვუხვდები
სიცილით, სიბრალულითა!..

—

მე ყურს არ ვუგდებ მისს კიცხვას,
არა ვარ მისი გამგონე;
ერის ხმას მივსდევ კვალ და კვალ,
იგია ჩემი მაღ-ღონე.

—

დგე, თუ დასაგმობი ვარ
დამგმოს თვით ერის ნებამა
და შემიჩვენოს ხსენება
საუმჯობესო მცნებამა!..

გრ. აბაშიძე

## კორესპონდენცია

—

**ნიკ. ბალი.** 10 თიბათვეს საიმპერატორო ნიკიტის ლაბორატორიაში პროფესორი რუცკის თაოსნობით იყო გამართული „დეგუსტაცია“.

შედარებული იქმნა საფრანგეთის, რეინის, ყირიმის და სხვა ქვეყნების ღვინოები; მათ შორის იყო კახური ღვინოები ახლად დაარსებულს კახეთის მევენახეთა საზოგადოების სარდაფიდგან (Съ подвала Кахетинскихъ садовладѣльцевъ). ზემოხსენებული კახეთის საზოგადოების ღვინოები ერთბაშად ყველას მოეწონათ. პროფესორმა რუცკიმ სთქვა კახური ღვინოების შესახებ, რომ ეს ღვინოები მომავლისათვის დიდს იმედს იძლევიანო, დარწმუნებით ვიტყვიო, რომ ძლიერ წააგავს ბურგუნდიის ღვინოებსაო და იმედია ეს ღვინოები, კახეთის ახლად დაარსებულის საზოგადოების შემწეობით, თავს იჩენენ და წითელი ღვინოები თუ არ დაემჯობინებიან ბურგუნდის ღვინოებს, მაინც არ ჩამოუვარდებიანო. იმ წამსვე განხილულ იქმნა კახური წითელი და თეთრი ღვინოები. პირველში აღმოჩნდა სპირტი 10% სიმჟავე 6‰; მეორეში სპირტი 12% სიმჟავე $5^{1}/_{4}$‰

ლევან გოგნიაშვილი

## ისევ ბესსების შესახებ

—

ამას წინად აღვნიშნეთ, რომ ბესსები იგივე ქართველები უნდა იყვნენო. ამავე საგნის შესახებ ბ-ნი ფ. ცისკრაიძე იწერება, რომ ჩაჩანნი ქართველ თუშებს დღესაც ეძახიან „ბეცცი“, ანუ „ბესსიო“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩაჩნურ ენაში მრავალია ქართული სიტყვები. თვით ჩაჩნური ზეპირ-გარდმოცემაც გვეუბნება, რომ ჩაჩნის მოწინავე წოდება ქართველები ყოფილან და საქართველოდგან გადასახლებულნი [1]). იქვე საჩეჩნოში მდ. ასსის ნაპირზედ დღესაც არსებობს ძველი ტაძარი ქართულის ზედ-წარწერებით [2]). ამ ტაძარს ჰქვიან თხაბაერდი, ანუ, ზოგიერთის თქმით, თხაბერდი [3]). ძალიან კარგი იქმნება, თუ ბ. ცისკრაიძემ ყველა ამის შესახებ შეჰკრიბა დაწვრილებით ცნობები და გამოუგზავნა გაზეთს. ჩაჩნური ზნე-ჩვეულება და ენა საზოგადოდ იმოდენად შერეულია ჩვენ ზნე-ჩვეულება-ენასთან, რომ ღირს ამ ერს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ჩაჩნები თავის ერს უწოდებენ „ნახჩე“-ს ანუ „ნახჩუ“-ს. მათივე გადმოცემა გვეუბნება, რომ იგინი საქართველოდგან გასულნი არიან. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ პირვანდელ სამშობლოდამ ნახჩთა ყოფილიყოს ნახჩევანი (ძველად აგრეთვე ნახჩუანი და ნახჩეანი); თვით დაბოლოება ამ სიტყვისა თითქო საფუძვლად ედება ჩვენს ნათქვამს: ბარათა—ბარათ-ნი, ნახჩე—ნახჩე-ანი (და შემდეგ ნახჩევანი).

ესომ

[1]) იხ. ჩემი წერილი „ქართველების კვალი საჩეჩნოში“, დროება 1884 წ., № 66.

[2]) იხ. Записки общ. люб. кавк. археологіи გვ. 13.

[3]) თუმცა თხაბერდს „2,000 წმინდანად“ სთარგმნიან, მაგრამ, მგონია, რომ უკანასკნელი ნაწილი ამ სიტყვისა უნდა უდრიდეს ჩვენებურს: შატ-ბერდს, ალავერდს (ოლოვერდი, მდაბიურად); შეიძლება აგრეთვე რაიმე კავშირი ჰქონდეს ამათთან ბუდ-ს ანუ ბოდინს (აწ ბოდბე) და ბედია-ს.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** დიუპუის შემდეგი სიტყვა წარმოუთქვამს კარნოს დასაფლავების დროს: „კარნომ თავისი სიცოცხლე სამშობლოს შესწირა. იგი მოკვდა საფრანგეთისა და რესპუბლიკისათვის, დამარცხებული ნადირ მწვალებელთა დევნით, იმ მწვალებელთა, რომელთა ძლიგმას თანხმობა ერისა შესძლებს. იგი უკვე მოელოდდა საათს დასვენებისას, ვინაიდგან ფიქრადაც არა ჰქონდა სცდილიყო თავისს ხელმეორედ არჩევანს, ასეთი ცდა კონსტიტუციის აზრის წინააღმდეგად მიაჩნდა. იგი დიდად შესამჩნევად ჰრაცხდა პრეზიდენტის მოვალეობას. მან შეძლო და ყველგან, შინაცა და გარეთაც პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა. საფრანგეთი და უცხო სახელმწიფონი შეერთდნენ მწუხარებაში და ერთ-ხმად გამოსთქვამენ თავისს პატივისცემასა და გაოცებას კარნოს მიმართ, როგორც ადამიანისა, მოქალაქისა, მოსამართლისა და განსაკუთრებით როგორც მშვიდობიანობის მეგობრის მიმართ, რადგან ამ მშვიდობიანობას შესწირა მან თვისი შრომა და ყოველ დროს ამ მშვიდობიანობისავე მოსარჩლე და მადიდებელი იყო: იგი განისვენებს პანტეონში გამარჯვების გმირთან ერთად. სიკვდილი ამ გვარად აერთებს ომის გენიასა და გენიას მშვიდობიანობისას. ისტორია აღიარებს, რომ კარნოს სურდა შეერთებინა ფრანგნი ერთ ბრძენ, თავისუფალ, სხვათაგან შეწყნარებულ და წარმატების გზაზედ დამდგარ რესპუბლიკად“. შემდეგ დიუპუიმ აღნიშნა კარნოს ღირსებანი, სთქვა, რომ იმისი სახელი თანდან უფრო ვრცელდებოდა და იფინებოდაო, და დასძინა: „მშვიდობით საუკუნოდ! შენი ხსოვნა არასოდეს არ განგვიქარდება. საფრანგეთი ჰგრძნობს რა დიდი დასაკარგი დაჰკარგა შენის სიკვდილით. გმადლობთ, რომ შენ შეაერთე საფრანგეთის შვილნი რესპუბლიკისა და სამშობლოს მიმართ სიყვარულად. არ გადავუხვევთ შენს წესს, შენებრ ვეცდებით კარგად

---

ეხლა ყველა ჩვენგანი. ხოლო ვინა გვფენს ჩვენ ეხლა ამ მაცოცხლებელს სხივებს? ის მნათობი, რომელიც ეხლა ჩვენ შორის არის და რომლის სადღეგრძელოს ასეთის აღტაცებით გიახლებით. თუ გინდათ, რომ ვენერას ფასი დასდოთ, წარმოიდგინეთ ჩვენი საზოგადოება უმისოდ. მაშ გადღეგრძელოს ღმერთმა ჩვენის კრების ჯავარო, ჩვენი სწორის სულო და გულო ვენერა. „იკურთხოს მუცელი, რომელმან გიტვირთა შენ და ძუძუნი, რომელსა სწოვდი.“ ამ სიტყვის შემდეგ უქმაძემ სწრაფად დაცლილი ჰიქა სუფრაზე დაამხო ამ სიტყვებით: ასე დაიცალოს შენი მტერიო.

უქმაძის სიტყვამ სულ ააბობოქრა მთელი კრებული. ერთმანერთში არეული „ურა“ „ბრავო“ და „ვაშას“ ძახილი მთელს საათს არ შეწყვეტილა. ვენერას მეტის სიხარულით ცრემლები მოერია, ასპიროზ მოილრუბლა, ლოლია დამჭკნარს „лилія“-ს დაემსგავსა და გულივარდისა ილიმებოდა იმ ღიმილით, რომელიც ხანდისხან მწუხარების ცრემლებზედ მეტს გვეუბნება. სარეკელაძემ შეატყო, რომ სხვა „დამებს“ გული დასწყდათო, სწრაფად დაასხა სამს დიდს ჯიქში სამი ბოთლი ღვინო, გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც აქ ვეღარ მოვიყვან, დაცლილი ჰიქები თეფშზედ დააყირავა და ალავერდი კეთილაძესთან მივიდა. კეთილაძემ ქალები ადღეგრძელა, მაგრამ ღვინო-კი არ დაუცლია. ახლა ასტყდა კამათობა: დაცლა სჯობია, თუ დაუცლელობა, ლოთობა თუ სიფხიზლეო. სარეკელაძემ სთქვა, რომ ეს ძველების მიერ ნაკურთხი ჩვეულება არის, ერის ავტორიტეტით განმტკიცებული, დაკანონებული ადათია და ვინც ამ ჩვეულების წინ მუხლს არ იყრის, ის ჩვენის ეროვნების პატივის-მცემელი არ არისო. კეთილაძემ უპასუხა, რომ სიმთვრალე ქართველის ეროვნულს თვისებას სრულიად არ შეადგენს და სარეკელაძის აზრი რომ მართალი იყოს, იმ შემთხვევაშიაც მოვალე ვართ ვებრძოლოთ ყოველს ერის გონება ზნეობის დამამხობელს ჩვეულებას; ინტელლიგენტი, რომელიც ამ შემთხვევაში უბრალო ხალხზედ მაღლა არა სდგას, ინტელლიგენტად არ მიმაჩნიაო. სარეკელაძე გაწითლებული დაეშვა სკამზედ, მაგრამ უქმაძე მაინც არ შედრკა. მან კეთილაძის კერძი ღვინო თავისას მიაყოლა, სამს ჰიქას ოთხიც სხვა შემოუმწკრივა და უკანასკნელი ჰიქის დაცლაზედ ისე გვარად დაუწყო თვალებს ბრიალი ჩემსკენ, რომ მე მაშინვე მივხვდი, ალავერდს ჩემთან მოდიოდა და თავს ვუშველე: პურად მასპინძელთან ბოდიში მოვიხადე და სახლისკენ მოვკურცხლე.

შინ დაბრუნებულმა შემდეგი შენიშვნა ვუძღვენი ჩემს რვეულს. საკვირველია ზოგიერთის კაცის საქმე! ამ უქმაძესა და სარეკელაძეს გული თუ არ აქვთ, უბრალო თავმოყვარეობა მაინც რად დაუკარგავთ? რატომ არა წითლდებიან, პანსიონიდგან გამოსვლა რომ ვერ მოუხერხებიათ თავიანთ სიცოცხლეში? სასწავლებელში ხომ საზოგადოების ოფლით იკვებებოდნენ და ცხოვრებაშიაც სხვისი ხელით დამზადებულს სუფრაზედ იკეცვენ ფეხს. აქაც მათი ხელი და თავი უქმად არის და ამნაირად ცხოვრებაშიაც პანსიონერებად დარჩენას აპირებენ. ნეტავი რა გული უძლებთ? აგერ იმათი უმცროსი ძმები ტანჯვასა და ბეჩავობაში ჰლევენ სიცოცხლეს; მძიმე ტვირთის ქვეშ მოხრილნი გულსაკლავად ჰკვნესენ, ჯოჯოხეთურს შრომას ეწევიან და ცოლ-შვილი სიმშილით ეხოცებათ, იმათი ნაამაგარი-კი ათასს უნამუსოს უმართავს ლხინს. იქ ქვეყნის ერთგული შვილი, უდროოდ მოტეხილი, გვემული და წამებული, საფლავის პირზედ შემდგარი კიდევ ამ ბეჩავებისკენ იხედება, გულში ხელს იცემს და ცრემლ-მორეული ამბობს. „ვაი ჩემი ბრალი! ვკვდები და ამ საწყლებს კი ვერა ვუშველე-რაო“. ერთსაც და მეორესაც გამხნევება ეპირვება, მშვენიერი აკლია და იმ დროს ეს მუდმივი პანსიონერები ლხინს ეწევიან, ქუდით ბუზებს ერეკებიან. თუ საყვედური უთხარი, გეტყვიან: უსასყიდლოდ ხომ ვერ ვემსახურებით ქვეყანას, ჩვენც ჭამა-სმა გვინდაო. დალოცვილები თუ-კი სისულელეს სჩადიან უსასყიდლოდ, რატომ გონიერებას ვერ ჩაიდენენ? თავის თავი მაინც გაივითარონ, რომ იმათთან მისვლა-მოსვლა სასარგებლო იყოს და არა გამრყვნელი. ეს ვენერა, გულვარდისა, ლონიჩკა, ვერიჩკა და სხვანი ყველა სამაგალითო ქალი იქნებოდა, ყველანი ნიჭიერნი არიან და მართლა რომ ქვეყნის თვალი და ჩინი გახდებოდნენ, ეს უქმაძეები თავიანთ უაზრო და უსაგნო ლაყბობით რომ არ აცდენდნენ იმათს ნორჩს გონებას. სხვაგან ინტელლიგენცია თითონაც ვითარდება და სხვასაც ავითარებს. შეაქვს ხალხში წერა-კითხვა, განათლება, მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები. ყველას რაიმე ცხოველი იდეალი ჩაუსვენებია სულსა და გულში და იმას ემსახურება თავის სიცოცხლეში. ის რაკი ერთხელ დაეწაფა განათლებას, აღარა სწყვეტავს მასთან კავშირს და სხვასაც აკავშირებს ამ სინათლესთან. ერთი მათგანი თავს იხეთქს მშობლის ერის წარსულის კვლევა-ძიებისათვის; მეორე ამავე ერის ყოფა-ცხოვრებას იკვლევს და წამალს სძებს ამ ყოფის გასაუმჯობესებლად; მესამე ბუნებისმეტყველებას გაუტაცნია და ყველას აოცებს თავისის მიხვედრილობით; მეოთხეს ახალთაობის აღზრდის საქმე აფიქრებს და ისიც გულ-დადებით კითხულობს რაც-კი საუკეთესო რამ დაწერილა ამ საგნის შესახებ, და ლამის საკვირველება მოახდინოს, ახალი რამ სთქვას მეცნიერების ამ დარგში. დიაღ, სხვაგან ინტელლიგენცია, განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, ქვეყნის ღონეა და ამ დროს საკრეჭიის ინტელლიგენციის უმრავლესობა თბილის ადგილის ძებნაში ალამებს დღეს და თუ ამისთანა ადგილი ვერ იგდო ხელში, ყველაფრისაგან გულს იყრის, ელვის სისწრაფით მოდის თავქვე თითონ და სხვების გამოყრუების მიზეზიც ჰხდება.

„ჯერ თითონ მოიკარი ქონი და შემდეგ ქვეყნის წარმატებისათვის იფიქრე, თორემ ცალიერის კუჭით ვერაფერს ვერ გააკეთებ; სილატაკე ნიჭსაც მოგიკლავს და მხნეობასაც, სულსაც გაგინადგურებს და გულსაც“, მეტყვის ამ შენიშვნაზედ უქმაძე.

„— მართალი ბრძანდები ბატონო უქმაძევ, მაგრამ ისიც მართალია, რომ ნახევრად ჩამოქცეულის ქოხიდგან ხშირად გამოსულა ძონძებით მოსილი გმირი, რომელიც მადლიანის გონებისა და განწმენდილის გულის შემწეობით რომელისამე ერის დიდება და სიქადული გამხდარა და ბრწყინვალე დარბაზებიდგან ხშირად გამოსულა ოქრო-ვერცხლით მორთული ვაჟბატონი, რომელსაც ქვეყნის დამხობასა და ერის სახელის გატეხვაში დაულამებია თავისი სიცოცხლე და რომლის საფლავს წყევლითა და შეჩვენებით იხსენიებს დღესაც ერი. მოვახსენებ ამას უქმაძეს ჩემის მხრით და გავათავებ ამ ჟამად ჩემს შენიშვნებს.

შუბნელი

—

ვემსახუროთ რესპუბლიკას და არასოდეს დავივიწყოთ სარგებლობა და სიკეთე საფრანგეთისა. რესპუბლიკა ჰხრის შენს კუბოზედ თავისს დროშას, სამგლოვიაროდ შემოსილს. მიიღე ჩვენი უკანასკნელი ჯეროვანი ძღვენი მადლობისა და მწუხარებისა!“

მაგიმ თავის სიტყვაში აღნიშნა მწუხარება, სიძულილი და რისხვა ამ საზიზღარ ავაზაკობის წინააღმდეგ, გაახსენა იქ დამსწრეთ დიდებულნი და განსაკუთრებულნი ღირსებანი კარნოსანი ძნსთქვა, რომ არასოდეს სახელმწიფოს მეთაურის სიკვდილს არ გამოუწვევია ასეთი დიდი და საერთო მწუხარება. „შეიძლება მკვლელს სასოწარეკვეთნა ჩვენთვის, მაგრამ გზაკვალს-კი ვერ დაგვიბნევს. ასეთი ბოროტ-მოქმედება პრო რესის გზას ვერ გადაიცდენს პარლამენტს, რომელიც შემოიღებს ყოველსავე საჭირო ცვლილებას, რომ სრულიად აღმოფხვრას ანარხიზმი სურვილისამებრ ერისა, რომელიც ზურგს აქცევს საერთაშორისო კოსმოპოლიტიზმს და თანხმობასა და მშვიდობიანობას არის მოწადინებული. ყოველი ჩვენგანი მზად არის შესწიროს თავისი სიცოცხლე, მაგრამ ეს არა კმარა: უწინარეს ყოვლისა საჭიროა კეთილ-დღეობას ჩვენის ქვეყნისას ვუმსხვერპლოთ ჩვენი გულის-თქმა, სიძულილი, ბოროტება და ცრუ-მორწმუნებანი“.

— გერმანიის ელჩმა მიუნსტერმა 19 ივნისს აუწყა დიუპუისა და განატოს, რომ კარნოს დასაფლავებისა გამო იმპერატორმა ვილჰელმმა აპატია სასჯელი საფრანგეთის ორს აფიცერს, რომელნიც ლეიბციხის სასამართლომ განასამართლა. დიუპუიმ ეს ამბავი პერიეს აცნობა, იმის ელისეის სასახლეში მოსვლამდე. პერიემ სთხოვა დიუპუის მადლობა გადაუხადეთ იმპერატორს დიდებულის აზრისათვის, რომელიც მან განახორციელა ასეთს ძვირფასს დღეს, ორისავე დიდებულის ერის გულის ამძვრელს. ეს პატიების ამბავი ჩქარა გავრცელდა და დიდი აღელვება გამოიწვია.

— განსვენებული პრეზიდენტი კარნო აღიარებდა თურმე თეოფილანტროპების მოძღვრებას. თეოფილანტრები იწოდებიან „ღვთისა და კაცთა მეგობრებად“ და უარ-ჰყოფენ ნათლისღებას.

—ახალ პრეზიდენტს კაზიმირ პერიეს 40 მილიონი ფრანკი შეძლება აქვს თურმე.

— კარნოს დასაფლავებაზედ დასასწრებად პარიზში ორი მილიონი ხალხი ჩავიდა თურმე საფრანგეთის სხვა-და-სხვა ადგილიდგან.

## წერილი რედაქციის მიმართ

სხვა-და-სხვა პირებს განუზრახავთ ცალკ-ცალკე გამოსცენ ზოგიერთა მოთხრობანი ჩვენის უდროოდ დაკარგულის ნიჭიერის ბელეტრისტის ნინოშვილისა. გთხოვთ ამ განზრახვაზედ ხელი აიღონ, რადგანაც მისი განხორციელება უეჭველად დააბრკოლებს გავრცელებას საზოგადოებაში სრული გამოცემისას განსვენებულის მოთხრობებისას. ეს გამოცემა უნდა მოხდეს მოკლე მომავალში, გგონებ, ქუთათური ამხანაგობის შემწეობით, რომელსაც მე წინადადება უკვე მივეცი ბატონის ალექსანდრე ნანეიშვილის პირით. გამოცემას დაემატება პორტრეტი განსვენებულისა, იმ დროისა, როდესაც ჯერ იგი წარმოადგენდა სადსა და შნოიანს ახალგაზდასა (გვალში დმაჯდილი პორტრეტი მკუთვნის ავადმყოფობის დროსა) და ვრცელი ბიოგრაფია, რომელსაც დასწერს ერთ-ერთი მისი მეგობართაგანი. უველაზედ უკეთესად ამ შრომის შესრულება შეუძლიან ბ-ნს ნოე ჟორდანიას, როგორც მახლობელს მეგობარს და ახალგაზდას, რომელმაც უკვე დაიმსახურა ყურადღება საზოგადოებისა თავისი ნაწერებითა. რაც შეეხება ავტორის გონორარსა, იგი ორ თანასწორ ნაწილად განიყოფება: ნახევარი ერგებათ ღარიბს მემკვიდრეებს განსვენებულისას და ნახევარი გარდაეცემა სალიტერატურო ფონდსა.

მე ამ საქმეში ვმოქმედობ იმის გამო, რომ, თუმცა პირადად არ ვცნობდი განსვენებულს, მაგრამ მან წარსულს თებერვალში მომანდო ზრუნვა შესახებ სრული გამოცემისა თავისი მოთხრობისა და მაშინვე გამომიგზავნა გასწორებული და დამატებული ეგზემპლიარი თავისი უკანასკნელი თხზულებისა: „ჩვენი ქვეყნის რაინდი“.

იაკობ გოგებაშვილი

P. S. ცალკ-ცალკე გამოცემა მოთხრობებისა შესაძლებელი იქმნება მაშინ, როდესაც სრული გამოცემა გაისყიდება უმეტეს ნაწილად.

## შემოწირულებანი

ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ივანე ზედგინიძისაგან 34 მან., რომელთაგანაც 3 მანეთი უნდა გადაეცეს „ივერიის“ 119 №-ში დასახელებულ ე. კ—შვილის სახლობას, ეს სამი მანეთი შემოუწირავთ თითო მანეთობით: დეკანოზს მ. ისაკ იორდანაშვილს, სიკო კასრაძეს და ივანე ზედგინიძეს, ხოლო დანარჩენი 31 მანეთი უნდა შეტანილ იქმნას სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდა ერთი პაი „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა“ და გარდაეცეს სადაც ჯერ არის, შესანახად. ვეცდებით პაის დანარჩენი საფასურიც—19 მანეთი ჩქარა გამოვგზავნოთო, გვწერს ივ. ზედგინიძე. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 640 მან. 19 კაპ., ამითი შესდგა 671 მან. 19. კ. მოგვყავს აქავე ამ ფულის შემომწირველთა ნუსხა:

თ. ივანე მაყაშვილი 3 მ., ნინა იორდანაშვილისა 1 მ., ანნა კასრაძისა 1 მ., სიკო კასრაძე 1 მ., კოლა ხახუტაშვილი 2 მ., მღ. სიმონ ლიაძე 1 მ., გიორგი კოკაშვილი 1 მ., ვ. ი. ჩინჩალაძე 1 მ., ნესტორ გრიგოლია 1 მ., მიხეილ გვახარია 1 მ., №№ 1 მ., ილიკო ცალქალამიძე 1 მ., შაქრო ცალქალამიძე 1 მ., თავ. ავალიშვილი 1 მ., ნიკო სოკოლოვსკი 1 მ., ვანო ზედგინიძე 2 მან. 50 კაპ. და თედო შუჩუვური 50 კაპ.

### პეტერბურგის ბირჟა, 24 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,46 | 7,48 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | 151 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — , | 249¹/₄ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთბის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101¹/₂ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 100¹/₂ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 100¹/₂ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¹/₂ | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ფ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11¹/₂—12¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12¹/₂—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

გ. ი. ფრანცუსი, 7—7¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

## საპონი

პროვიზორი

## ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულიად ჰკარგავს თავის თეხოს, თმას ზრდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(20—14)

ამა წლისა 1-ს ივნისიდგან მაღაზია და სახელოსნო, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში გადამაქვს ფარსადანოვის სახლში, მიხეილის ხიდზედ, რომელსაც ეწოდება: „Фабрика готовой обуви А. Н. Парсаданова и Ко ტერ-ზაქაროვის ხელმძღვანელობით, ამიტომ ვაჩქარებ შევატყობინო ბბ. ნიადაგ ჩემს მუშტრებს და იმედი მაქვს არ მომაკლებენ თავის ყურადღებას.

უმორჩილესი ტერ-ზაქაროვი

(3—1412—3)

# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7¹/ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

# დედა-ენა

დაიბეჭდა მეათედ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ისყიდება მისს მაღაზიაში ყდაში დაკაზმული ორ-აბაზად. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს, ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობათ ექვსს შაურად და ორ კაპეიკად 32 კაპ. უყდოთ ეს წიგნი აღარ იყიდება. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ ანბანის ბოლოში ჩამატებულია პატარა ლოცვები ღვთის-მშობლის და მაცხოვრის სურათებითა და გადიდებულია ხუცური განყოფილება, რომელიც შეიცავს ხუცურს ანბანსა, ხუცურს სიტყვებსა სრულად და ქარაგმით, ფსალმუნებსა ხუცური და მხედრული ასოებით, ზნეობრივს ადგილებსა დაბადებიდგან და იგავებს მაცხოვრისას ორივე შრიფტით და ბოლოს ფსალმუნებს მარტო ხუცურის ასოებით. დედანიც შევსებულია წვრილი ხელით, რომელიც წინედ აკლდა. საზოგადოდ ეს მეათე გამოცემა წინანდელებს აღემატება თექვსმეტი გვერდით, ფასი-კი წინანდელია დარჩენილი იმ განსხვავებით, რომ მყიდველებს ეთმობათ წიგნზედ რვა კაპეიკი წინანდელის შვიდის კაპეიკის მაგივრად. (10—5)

# სასაპარელო ესსენცია კოლბერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამოჭრილი ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.



ახლად მოგონილი მაშინა „ სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

# ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.